



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ბოტორიშვილი ელენე ბესარიონის ასული

ბოტორიშვილი ელენე (პეპი) ბესარიონის ასული (დ. 11. I. 1966, თბილისი), რუსულენოვანი ქართველი მწერალი, ჟურნალისტი, მთარგმნელი. დაამთავრა თსუ-ის ჟურნალისტიკის ფაკ-ტი. 1992-იდან ცხოვრობს მონრეალში (კანადა). მისი პირველი ნაწარმოებია „ჟუჟუნა წვიმა“ (1997), მუშაობდა სპორტულ ჟურნალისტად.

თანამშრომლობდა გაზ. „ლელოსთან“. არის ახ. ჟანრის - სტენოგრაფიული რომანის დამკვიდრების ინიციატორი. 2012 დაიბეჭდა ბ-ის მოთხრობათა კრებული „მამაჩემის თავი“ („Голова моего отца“), რ-შიც შესულია 5 მოთხრობა XX ს. 90-იანი წლების საქართველოს შესახებ. ბ-ის ნაწარმოებები თარგმნილია ქართულ (მოთხრ. „ოპერა“, 2010, მთარგ. მ. სააკაშვილი), კრებ. „სტენოგრაფიული რომანები“, 2016, მთარგ. ე. ნაბახტეველი), ფრანგ., იტალ., პორტუგალიურ, ჩეხურ და სხვ. ენებზე.

1988 ჟურნალისტიკაში მიიღო სახელმწ. ჯილდო „მოკლე სტატია“; 2016 მისმა კრებულმა „მხოლოდ ლოდინი და ყურება“ გაიმარჯვა საერთაშ. ლიტ. კონკურსის „რუსკაია პროზას“ ნომინაციაში „მაღაია პროზა“.
